



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 10
03/02/2016

10-06-4-201602032308



განკარგულება №10

3 თებერვალი 2016წ

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის ანგარიში 2015
წელში გაწეული მუშაობის შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელმაც მოისმინა ამავე საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ კომისიას საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა არსებული კანონმდებლობითა და დადგენილებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, კომისია რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში, ამასთან საკრებულოს მიაჩნია, რომ კომისიამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარმოდგენას, გამომდინარე აქედან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.


მუხლი 2. კომისიამ რეგულარულად უზრუნველყოყოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, ზედამხედველობა გაუწიოს თვითმმართველი

ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის, ადგილობრივი შესყიდვების დაგეგმვისა და ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დადგენას უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დიმიტრი კვერდელიძე



თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო